



სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

**შემოქმედებითი უნარების განვითარება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში
და ქართულ ენასა და ლიტერატურაში**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი **თეა სულაბერიძე**
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ია დანელია**

ქუთაისი

-2019-

სარჩევი

1. შესავალი	3
2. თემის აქტუალობა	4
3. პრობლემის ანალიზი	5
4. კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები	6
5. სამიზნე ჯგუფი	7
6. ლიტერატურის მიმოხილვა	7
7. საკვლევინიკითხვები	10
8. მეთოდოლოგია	12
9. მონაცემთა ანალიზი	13
10. ინტერვენცია	13
11. ინტერვენციის შეფასება	23
12. რეკომენდაციები	27
13. დასკვნა	29
14. რეფლექსია	32
15. გამოყენებული ლიტერატურა	33
16. დანართი	34

შესავალი

ოცდამეერთე საუკუნეში მასწავლებელი ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. რაც უფრო მეტად ვითარდება ტექნიკური პროგრესი და ტექნოლოგიური პროცესები, მით უფრო მეტად შეიმჩნევა მოსწავლეთა გულგრილი და უინტერესო დამოკიდებულება სწავლა-სწავლების პროცესის მიმართ.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, მასწავლებელი დააკვირდეს პედაგოგიურ ი საქმიანობის დროს წამოჭრილ პრობლემებს, შეიმუშავოს და დანერგოს ახალი გზები, რათა სწავლა-სწავლება გახდეს გაცილებით სახალისო, სასიამოვნო, საინტერესო.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა განაპირობა საკუთარი გამოცდილებებზე დაკვირვება-ანალიზმა.

არის მთელი რიგი საქმიანობებისა, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში არ კარგავს აქტუალობას. ერთ-ერთი ასეთი აქტივობა სწორედ შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებაა სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და ლიტერატურაში. თანამედროვე სასკოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვანია შემოქმედებითობა, რათა უფრო საინტერესო და ნაყოფიერი გახდეს სასწავლო პროცესი, “მოსაბეზრებელი“ გაკვეთილების ნაცვლად მოსწავლეებს ელოდებოდეს სახალისო აქტივობები, ლაღი გარემო და ზარის დარეკვა იწვევდეს სასიამოვნო მოლოდინის განცდას, რომ მოსწავლე მოსაწყენი გაკვეთილის ნაცვლად აღმოჩნდება ისეთ სამყაროში, სადაც მიეცემა შესაძლებლობა თვითრეალიზაციისა და საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხელოვნება ზოგადად სულიერი საკვებია. კრეატიული გარემო, სწორედ თავისუფლების მთავარი საწყისია. თვითგამოხატვის საშუალება: ლიტერატურა მუსიკა, კინო, მხატვრობა, თანამედროვე ხელოვნება, ქუჩის მხატვრობა... ეს ყველაფერი იდეების აფეთქებას ჰგავს, რომლებიც გვიყვებიან სიყვარულზე, სიცოცხლეზე, წუხილზე, სიხარულზე, სოციალურ პრობლემებზე... ხელოვნება დემოკრატიული სივრცეა, სადაც ყველას აქვს მსჯელობის, აზროვნებისა და შეფასების საშუალება ჩარჩოების გარეშე.

ვფიქრობთ, ჩვენი კვლევა გარკვეულწილად, მასწავლებელს დაეხმარება სასწავლო პროცესის საჭიროებისამებრ დაგეგმვაში და საბოლოო ჯამში, გამიზნულია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის. მასწავლებელი გამუდმებით უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ ყოველდღიურად უფრო საინტერესო და სახალისო გახადოს სწავლა-სწავლების პროცესი.

გარკვეული სასწავლო მონაკვეთის შესწავლა-დამუშავების შემდეგ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს მოეთხოვებათ შემოქმედებით კონფერენციებში, გამოფენებსა თუ კონკურსებში მონაწილეობის მიღება. შემოქმედებითი კონკურსები ორივე მხარეს (მასწავლებელსა და მოსწავლეს) უქმნის გარკვეულ წარმოდგენას – რამდენადაა დაძლეული სასწავლო ერთეული, რამდენად წარმოჩნდა სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა ან უნარ-ჩვევები სასწავლო წლის კონკრეტულ ეტაპზე.

სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში კონკურსები

და გამოფენები უნდა ამოწმებდეს საგნის სტანდარტით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. შესაბამისად, ფორმის თვალსაზრისით , კონკურსები, გამოფენები, ექსკურსიები შემოქმედებით მუშაობას კრეატიულსა და საინტერესოს ხდის.

თემის აქტუალობა

ოცდამეერთე საუკუნეში მასწავლებელი ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. მასწავლებლებთან ერთად მშობლებისათვისაც საინტერესო იქნება იმის შეტყობა, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი მოზარდის შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, რა სტრატეგიებს მივმართავთ ყოველდღიურად.

ამ მიზნით მიმოვიხილავთ შემოქმედებითობის ცნებას, მის მნიშვნელობას და განვითარების შესაძლებლობებს.

შემოქმედებითობის ცნება ყურადღების ცენტრში მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს მოექცა. 21-ე საუკუნის მიდგომა შემოქმედებითობის მიმართ განსხვავდება მე-20 საუკუნის მიდგომისაგან. ის შემოქმედებითობას იკვლევს ყოველდღიურ ცხოვრებაში და არ მოიაზრებს მას, როგორც ერთეულთა ხვედრს. მისი ამოსავალი წერტილი არ არის „პროდუქტი“ , კონკრეტული გამოგონება. ის აქცენტს აკეთებს პროცესზე, განვითარებაზე.

შემოქმედებითობა ვითარდება დროთა განმავლობაში, პიროვნებისა და გარემოს კავშირში. ამ თეორიაში შემოქმედებითობის ძირითადი განმავითარებელია ოჯახისა და გარემოს სტრუქტურა; დიდია თამაშის როლი, ეფექტს მრავალი ფაქტორი განაპირობებს.

შემოქმედებითობა შესაძლებელია გაიზომოს; განისაზღვროს მისი სანდობა და ქმედითობა. შესაძლებელია გამოირჩეს სპეციფიკური შემოქმედებითობა.

შემოქმედებითობის გამოხატვა გადის რამდენიმე აუცილებელ ფაზას. მას შესაძლებელია ჰქონდეს წრფივი და რეკურსიული ელემენტები.

მოსწავლეთა ცოდნით აღჭურვისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა სწორედ შემოქმედებითი უნარ -ჩვევების განვითარებაა სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და ლიტერატურაში. თანამედროვე სასკოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვანია შემოქმედებითობა, რათა უფრო საინტერესო და ნაყოფიერი გახდეს სასწავლო პროცესი.

დღევანდელი სკოლა მკაცრად ითხოვს მოსწავლისათვის კრეატიული,შემოქმედებითი გარემოს შექმნას, აქტუალური ხდება არასტანდარტული , ახლებური ,დივერგენტული მიდგომები,რომლის გარეშე შეუძლებელი იქნება იმ რეალობის აღქმა-გაანალიზება, რომელშიც ვცხოვრობთ.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: მაინც რატომ არის ესოდენ აუცილებელი მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარება? პასუხი ერთადერთია, თუკი ჩვენ არ გავაუმჯობესებთ სწავლა-სწავლების ხარისხს და საინტერესო გარემოს არ შევუქმნით მოზარდს, შედეგიც არ დააყოვნებს, ჩვენ მივიღებთ ცხოვრებისათვის მოუმზადებელ თაობას, რომელსაც ძალიან გაუჭირდება გარესამყაროსთან ადაპტირება. მასწავლებელი გამუდმებით უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ ყოველდღიურად უფრო საინტერესო და სახალისო გახადოს სწავლა-სწავლების პროცესი.

ვფიქრობთ, ჩვენი კვლევა გარკვეულწილად, პედაგოგებს დაეხმარება სასწავლო პროცესის საჭიროებისამებრ დაგეგმვაში და საბოლოო ჯამში, გამიზნულია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის.

გარკვეული სასწავლო მონაკვეთის შესწავლა-დამუშავების შემდეგ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს მოეთხოვებათ შემოქმედებით კონფერენციებში, გამოფენებსა თუ კონკურსებში მონაწილეობის მიღება. შემოქმედებითი კონკურსები ორივე მხარეს (მასწავლებელსა და მოსწავლეს) უქმნის გარკვეულ წარმოდგენას – რამდენადაა დამღეული სასწავლო ერთეული, რამდენად წარმოჩნდა სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა ან უნარ-ჩვევები სასწავლო წლის კონკრეტულ ეტაპზე.

სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში კონკურსები და გამოფენები უნდა ამოწმებდეს საგნის სტანდარტით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. შესაბამისად, ფორმის თვალსაზრისით , კონკურსები, გამოფენები, ექსკურსიები შემოქმედებით მუშაობას კრეატიულსა და საინტერესოს ხდის.

პრობლემის ანალიზი

საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაზე ხანგრძლივი დაკვირვებით აღმოჩნდა ,რომ ბავშვებს აქვთ დაბალი თვითშეფასება , ურავლესობა ვერ ახერხებს მაღალ სააზროვნო უნარებზე გასვლას ,არ შეუძლია მონაწილეობის მიღება დისკუსიებში, მიღებული შთაბეჭდილების ზეპირსიტყვიერად გადმოცემა ; ფიქრობს ,რომ ის ვერ ხატავს, ვერ გამოთქვამს სათანადოდ საკუთარ მოსაზრებას, აქვს სტიგმა, აქვს არასულფასოვნების კომპლექსი.

ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკის მრავალწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა ,რომ შემოქმედებითი უნარების განვითარება პირდაპირპროპორციულია მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასთან. კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი და ანალიტიკური მსჯელობის უნარი მოსწავლეებს ფართო ასპარეზს აძლევს ადვილად აითვისონ შესასწავლი მასალა, მარტივად დაძლიონ ერთი შეხედვით, რთულად დასაძლევია პრობლემები.

არგუმენტი - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი არის განსხვავებული პროფილის სასწავლებელი, სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული მოსწავლეები აგრძელებენ სწავლას X- XI- XII კლასებში . ლიცეუმში გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული მისაღები გამოცდების შედეგად ჩაირიცხებიან და სწავლას აგრძელებენ შედარებით მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები , რაც შემდეგ

აისახება შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განსაკუთრებულ გამოვლენასა და შემოქმედებით განვითარებაში . ამასთანავე არიან მოსწავლეები, რომლებმაც პირველად სცადეს ხატვა და შემოქმედებითად აზროვნება. პირველკურსელ კადეტებს თავდაპირველად უჭირთ ერთმანეთთან ურთიერთობა , საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, ეფექტური კომუნიკაცია . ისინი თავისუფლდებიან სახელოსნოში , როდესაც ერთვებიან ხატვის პროცესში; ასევე შინაგანი თავისუფლება ენიჭებათ , როდესაც დაკავებულნი არიან შემოქმედებითი საქმიანობით (პოეზია, პროზა, თეატრი, როლური თამაში, ხატვა). მიგვაჩნია, რომ ადამიანის ცხოვრებასადმი დამოკიდებულება აუცილებლად შემოქმედებითი უნდა იყოს , რომ ცხოვრების ყველა ეტაპი მან საინტერესოდ განვლოს.

გადავწყვიტეთ დაკვირვება გვეწარმოებინა X კლასის მოსწავლეებზე და დაგვედგინა, თუ რა მნიშვნელობა აქვს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და განვითარებას კლასის აკადემიურ მოსწრებაზე.

საკვლევი საკითხი-როგორ მოახერხოს მასწავლებელმა მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენა-განვითარება, როგორ გაზარდოს მათი ინტერესი .

პრაქტიკული კვლევის ფარგლებში გამოყენებულია კვლევის, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. დაკვირვება ვაწარმოეთ მოსწავლეებზე , გამოიკითხა მოსწავლეები /ინდივიდუალურად და ფოკუსჯგუფები/ , დაურიგდათ კითხვარები, რომლებზეც ანონიმურად უნდა ეპასუხათ. ასევე ვაწარმოეთ ჩვენი კოლეგების გამოკითხვა.

კვლევებისა და გამოკითხვების შედეგებმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეებისთვის მოსაწყენია სტანდარტული ტიპის გაკვეთილები, მათთვის გაცილებით საინტერესო და ბევრის მომცემია სახალისო , შემოქმედებითი აქტივობებით დატვირთული საგაკვეთილო პროცესი თუ სკოლისგარეშე საქმიანობა.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია დავადგინოთ თუ როგორ შეუძლია შემოქმედებითი უნარ - ჩვევების გამოვლენასა და განვითარებას , უკეთესობისაკენ შეცვალოს მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის დონე , აამაღლოს სწავლის ხარისხი, შეუქმნას მოსწავლეებს ეფექტური, სასიამოვნო და სახალისო გარემო ; მოვახდინოთ შემოქმედებით აზროვნებასთან დაკავშირებული პრობლემების ინდენტიფიცირება -გაანალიზება, მიზნობრივი ინტერვენციების განხორციელება და რეკომენდაციების შემუშავება.

სამიზნე ჯგუფი : X კლასი

სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და ქართული ენასა და ლიტერატურაში კონკურსები, კონფერენციები, გამოფენები უნდა ამოწმებდეს საგნის სტანდარტით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

შესაბამისად, კონკურსები, გამოფენები, ექსკურსიები, ლიტერატურული თეატრი შემოქმედებითი მუშაობის სწორედ ის ფორმაა, სადაც მოსწავლეს ეძლევა შინაგანი თავისუფება. სამიზნე ჯგუფად X კლასის არჩევა განაპირობა იმან, რომ სრულდება საბაზო საფეხური და საინტერესოა, აქვთ თუ არა მოსწავლეებს მაღალი სააზროვნო, შემოქმედებითი უნარები, რომელიც ასე საჭიროა სწავლების ბოლო საფეხურისთვის.

მეზურობას გვიწევს თომას მანის ესე „ხელოვანი და საზოგადოება.“ ესე, რომელშიც სიღრმისეულად და საინტერესოს არის აღწერილი თუ როგორია ხელოვანის როლი საზოგადოებაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

ამ მიზნით მიმოვიხილავთ შემოქმედებითობის ცნებას, მის მნიშვნელობას და განვითარების შესაძლებლობებს.

შემოქმედებითობის ცნება ყურადღების ცენტრში XX საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს მოექცა. XXI საუკუნის მიდგომა შემოქმედებითობის მიმართ განსხვავდება XX საუკუნის პირველი ნახევრის მიდგომისაგან. ის შემოქმედებითობას იკვლევს ყოველდღიურ ცხოვრებაში და არ მოიაზრებს მას, როგორც ერთეულთა ხვედრს. მისი ამოსავალი წერტილი არ არის „პროდუქტი“, კონკრეტული გამოგონება. ის აქცენტს აკეთებს პროცესზე, განვითარებაზე.

შემოქმედებითობა ვითარდება დროთა განმავლობაში, პიროვნებისა და გარემოს კავშირში. ამ თეორიაში შემოქმედებითობის ძირითადი განმავითარებელია ოჯახისა და გარემოს სტრუქტურა; დიდია თამაშის როლი, ეფექტს მრავალი ფაქტორი განაპირობებს.

შემოქმედებითობა შესაძლებელია გაიზომოს, განისაზღვროს მისი სანდოობა და ქმედითობა. შესაძლებელია გამოირჩეს სპეციფიკური შემოქმედებითობა.

შემოქმედებითობას განსაზღვრავს „ბაზრის მოთხოვნა“, მასზე გავლენას ახდენს მაკრო ფაქტორები. აქ რამდენიმე ფოკუსია: პიროვნება, პროდუქტი, ადგილი.

შემოქმედებითობა, უპირატესად, კოგნიტური პროცესია. იდეის ფორმირება ფუნდამენტურია. აქ მთავარი კონცეპტებია: ასოციაციები, მეტაფორა, კონცეპტუალური კომბინაციები, მეტაკოგნიტური პროცესები, სწორხაზოვანი/გადახრილი აზროვნება. მთავარ ფოკუსს პიროვნება

და

პროცესი

წარმოადგენს.

შემოქმედებითი ადამიანები აქტიურად ერთვებიან პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების ძიებაში.

საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისას მნიშვნელოვანია, პედაგოგმა გაიაზროს, თუ რა ფაზებს გადის მოსწავლის ცნობიერება შემეცნების პროცესში. მან უნდა იცოდეს, რა ინსტრუმენტები უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ სწავლის პროცესი იყოს საინტერესო, სახალისო და ეფექტური.

განათლების ფსიქოლოგები და თეორეტიკოსები აღნიშნავენ სწავლების პროცესში მოსწავლის წარმოსახვის ჩართვის აუცილებლობას. „წარმოსახვის გააქტიურება სწავლის პროცესის ლამაზად შეფუთული დანამატი არ არის. ის სწავლების არსია. სწორედ ის აძლევს აზრს იმ შინაარსს, რომლის გადაცემაც გვსურს“ (კირან იგანი).

შემოქმედებითობის განვითარებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ემოციის გამოწვევას, რაც სხვადასხვა ინსტრუმენტით მიიღწევა.

მასწავლებლებს სურთ, განუვითარონ მოსწავლეებს შემოქმედებითი აზროვნება, თუმცა ხშირად არ არიან დარწმუნებული იმაში, სწორ სტრატეგიას მიმართავენ თუ არა. ამიტომ რამდენიმე ინსტრუმენტს ჩამოვთვლით. ფსიქოლოგების ნაწილი ძირითად შემეცნებით ინსტრუმენტებად ასახელებს: ამბავს, მეტაფორას, რითმას და რიტმს, ხუმრობებს და იუმორს, გონებრივ გამოსახულებებს, ჭორს და თამაშს, საიდუმლოს, წიგნიერების ჩანასახოვან ინსტრუმენტებს.

ამბავი აღძრავს ემოციას. სწავლების პროცესში ამბის მოყოლის ღირებულება მოსწავლეთა ემოციების და წარმოსახვის მობილიზებაა. ამბის გადმოცემა არა მხოლოდ მისი ფაქტობრივი ნაწილის მოყოლას, არამედ ფაქტების, მოვლენების დალაგებას, ერთმანეთთან დაკავშირებას, სინთეზს და ანალიზს მოითხოვს.

მეტაფორების გამოყენება ერთი საკითხის მეორის მეშვეობით დანახვის შესაძლებლობას იძლევა. ეს აზროვნებას აფართოებს. მეტაფორების გამოყენება შესაძლებელია ყოველდღიურ საგაკვეთილო პროცესში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში მეტაფორული აზროვნებისა და ცნებების დაკავშირების უნარის განვითარებას.

ხუმრობა, იუმორი ერთ-ერთი ეფექტური ინსტრუმენტია მოსწავლეთა დადებითი ემოციების გამოსაწვევად. ისინი შეიძლება წახალისდნენ კიდევ და თავადაც მოიგონონ კონკრეტულ თემაზე სახალისო, შემეცნებითი ხუმრობები. სასურველია, ომონიმების გამოყენებაც, რაც ხელს უწყობს სხარტი აზროვნების განვითარებას (მაგ; ბარი, დარი, კარი და სხვ.). ხუმრობა არა მხოლოდ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართვის საშუალებაა, ის აძლიერებს მათი წარმოსახვის უნარსაც.

გონებრივი გამოსახულებები მოსწავლეს ეხმარება, ნაცნობი სიტყვებით შექმნას გონებაში სახეები და დაუკავშიროს ჯერ კიდევ უცნობ მოვლენებს. წარმოსახვითი სახეები მისთვის ნაცნობი და სანდო ხდება. შესაბამისად, მოსწავლე უკეთ აღიქვამს და ამუშავებს ახალ ცნებებს.

თამაშის მნიშვნელობა აღწერილი და კვლევებით დადასტურებულია. უნდა აღინიშნოს მისი მნიშვნელობა შემეცნებითი ინსტრუმენტების თვალსაზრისით. ვიგოტსკი თავის თეორიაში აღნიშნავს, რომ თამაშში ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას უწყობს ხელს (აზროვნების, მეხსიერების, თანაგრძნობის და სხვ.). თამაშის ტიპი უნდა განსხვავდებოდეს შესასწავლი საკითხის მიხედვით (სახალისო შემეცნებითი კონკურსი, გამოგონება, კვლევა, ანაგრამა, მარტივი კროსვორდი თუ სხვა).

საიდუმლოს ფენომენი აღვივებს განცდას, რომ სამყარო მხოლოდ ის არ არის, რასაც ვხედავთ. არის ბევრი ბუნდოვანი საკითხი, რომლებიც შესაძლოა, არ ვიცოდეთ. საიდუმლოს შემცველი აქტივობების საგაკვეთილო პროცესში გამოყენება აღვივებს ცნობისმოყვარეობას, გონებას მიმართავს ამოუცნობისკენ, უცნაურისკენ.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც მოსწავლეს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში ეხმარება. მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესი იმგვარად იყოს დაგეგმილი, რომ ხელს უწყობდეს მოსწავლეებში ახალი იდეების გაჩენას, გენერირებას, გაზიარებას.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ შემოქმედებითი აზროვნებისას რამდენიმე სააზროვნო უნარის გამოყენება და ბალანსირება ხდება: სინთეზური აზროვნების უნარის, რომელიც ახალი იდეების წარმოშობის უნარია; ანალიტიკური აზროვნების უნარის, რომლის მეშვეობითაც იდეების ანალიზი და შეფასება ხდება (კრიტიკული აზროვნება) და პრაქტიკული აზროვნების უნარის – კრეატიული ადამიანი ამ უნარს თეორიის პრაქტიკად გადაქცევის, კარგი იდეის ხორცშესმისათვის იყენებს. მნიშვნელოვანია ამ სამივე უნარის განვითარების ხელშეწყობა.

აქვე უნდა ვახსენოთ ის დაბრკოლებები, რომლებმაც შესაძლოა, შემოქმედებითობის განვითარებას შეუშალოს ხელი.

კენ რობინსონი, განათლების ექსპერტი, ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნავს: „სკოლები ხელს უშლიან შემოქმედებითობის განვითარებას“. საკმაოდ მკაცრი და დამაფიქრებელი განცხადებაა. სასკოლო გარემო ხომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, სადაც შემოქმედებითობა უნდა ვითარდებოდეს. ექსპერტის აზრით, საჭიროა, რომ შემოქმედებითობას იგივე მნიშვნელობა მივანიჭოთ, რაც წიგნიერებას. ის მთავარ პრობლემად მიიჩნევს სკოლებში მოსწავლეთა მრავალმხრივი ნიჭის უგულებელყოფას და საგნების ე.წ. „ძირითად“ (მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და სხვ.) და „მეორეხარისხოვან“ (ხელოვნება, მუსიკა) საგნებად დახარისხებას. ამგვარი მიდგომა საქართველოშიც არსებობს, მაგალითად, როცა პედაგოგები და მშობლები ითხოვენ რომელიმე საბუნებისმეტყველო საგანში საგაკვეთილო საათების გაზრდას ხელოვნების ან მუსიკის ხარჯზე. ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „ყველა ბავშვი

ნიჭიერი იბადება”, სასკოლო განათლების დანიშნულება კი უნივერსიტეტის პროფესორების აღზრდა სულაც არ არის; სკოლა ის ადგილია, სადაც მოსწავლეთა მრავალმხრივი ნიჭის გამოვლენა და განვითარება უნდა ხდებოდეს. კენ რობინსონი აცხადებს: „შემოქმედებითობა არ არის საგანზე მიბმული”. ამიტომ მნიშვნელოვანია ყველა საგნის ფარგლებში მისი განვითარება. მცდარია აზრი, რომ შემოქმედებითობას მოსწავლეები მხოლოდ გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილებზე უნდა ეზიარონ.

ზემოთ ჩამოთვლილ ინსტრუმენტებს „შეცდომის დაშვების” მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების სტრატეგია უნდა დავამატოთ: **“თუ არ ხარ მზად შეცდომის დასაშვებად, მაშინ ვერასდროს გაგიჩნდება ორიგინალური იდეა”** (კენ რობინსონი). ეს სწორედ ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც სკოლის კარის შეღებამდე თრგუნავს მოსწავლეს. შეცდომის გამო მკაცრად დასჯამ შესაძლოა მას ახალი იდეის გაჟღერების შიში ჩამოუყალიბოს. ჩვენი საზოგადოება არ ცნობდა შეცდომას, როგორც რაღაც ჩვეულებრივს, თუმცა ამ ბოლო ხნებში მიდგომები ნაწილობრივ შეიცვალა,

შემოქმედებითი კუთხით მოსწავლეებთან მუშაობისას უნდა გავითვალისწინოთ:

- მაქსიმალურად ხელი უნდა შევუწყოთ იდეების წარმოშობას.
- დავაჯილდოვოთ მოსწავლეები კრეატიული იდეებისათვის.
- წავახალისოთ გონივრული ნიჭი.
- ვიყოთ შემწყნარებელი შეცდომების მიმართ, აქცენტი გააკეთოთ მათ გაანალიზებაზე.
- ყოველგვარ სიტუაციაში ვეძებოთ სტიმულის გამომწვევი გარემო.

საკვლევი კითხვები

1. რომელი აქტივობებია შემოქმედებითობის განვითარებისათვის აქტუალური?
2. აძლევს თუ არა საგაკვეთილო მასალა და ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეს შემოქმედებითი მუშაობის საშუალებას?
3. როგორ განვასხვავოთ შემოქმედება მასკულტურისაგან?
4. რას ეფუძნება შემოქმედება პირითადად? (ემოციებს, გრძნობებს, ინტერესს, ცნობისმოყვარეობას)?
5. შემოქმედებითობა შინაგანი მოტივაციაა თუ გარეგანი მოტივაცია?
6. როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს შემოქმედებითი უნარების გამოვლენასა და განვითარებაში?
7. სწორად გაცემული განმავითარებელი შეფასება განაპირობებს თუ არა შემოქმედებითი უნარების გამოვლენასა და განვითარებას.?

8. სასკოლო საქალაქო ღონისძიებებში მონაწილეობა არის თუ არა სტიმული მოსწავლეებისათვის სხვადასხვა უნარების გამოვლენისა?

კვლევის მეთოდი

- ჩვენ წარმოვადგენთ როგორ ვავითარებთ შემოქმედებით უნარ- ჩვევებს მოსწავლეებში, განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის რომელ შედეგებზე და ინდიკატორებზე გავდივართ და ჩავატარებთ მასწავლებლებში ინტერვიუს ,გამვარკვევთ მათ აზრს ,თუ რომელი აქტივობები ავითარებენ შემოქმედებითობას .
- შეიძლება თუ არა ადამიანი გახდეს შემოქმედებითი ნატურა?
- დაფასებულია თუ არა შემოქმედი XXI საუკუნეში?

X კლასში შემოქმედებითი დავალებების შედეგების და ინდიკატორების განსაზღვრა.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყველა საგნისთვის დაზუსტებულია შემოქმედებითი დავალებების მინიმალური, სავალდებულო რაოდენობა თითოეული სემესტრისათვის ცალ-ცალკე. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა ჩაატაროს ექსკურსია ბუნებაში, მიაღებინოს მოსწავლეებს მონაწილეობა კონკურსებში , უნდა შეასრულებინოს შემოქმედებითი დავალებები . თუმცა, კლასის საჭიროებიდან გამომდინარე, მასწავლებელს შეუძლია დაამატოს წარმოსახვითი დავალებები. შემოქმედებითობის დავალების კომპონენტში აუცილებელია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გამოყენება .

- მხატვრული/არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება და მიღებული შთაბეჭდილებით ნამუშევრის შექმნა;
- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა სახის ტექსტების შექმნა

ქართული ენა და ლიტერატურა

აქტივობა: წარმოსახვითი დავალება

ლიტერატურული ნამუშევრების შექმნა

ლიტერატურული ნამუშევრის (ლექსი, მოთხრობა ,ნოველა, ესე) შექმნით მოსწავლეებმა მიაღწიეს შემდეგ შედეგებს და ინდიკატორებს.

.ქართ. X. 11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს თხზულება სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა აუდიტორიისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

. წერის დაწყებამდე აზუსტებს მიზანს და აუდიტორიას. ვინ არის მისი ნაწერის პოტენციური მკითხველი: მასწავლებელი, სხვა უფროსები, თანატოლები თუ

მასზე უმცროსები);

. შეარჩევს და იყენებს წყაროებს მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით;

ეფექტური არის თუ არა კავშირი წინადადებებსა და აბზაცებს, ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის; მიესადაგება თუ არა ტექსტი მიზანსა და სათაურს).

ქართ. X. 12. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ტექსტის შექმნა მოცემული პირობის ან მოდელის მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

. მოცემული დასაწყისის მიხედვით აგრძელებს ნაწარმოებს (მოთხრობას, ნოველას, ზღაპარს, იგავს,ლექსს, პიესას) ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით;

. ქმნის მხატვრულ ტექსტს მოცემული სათაურის, თემის, იდეის ან ფაბულის მიხედვით;

.თხზავს პოეტურ ნაწარმოებს მოცემული სარიტმო სიტყვების გამოყენებით.

ინტერვენციის შეფასება

მოსწავლეებს შევთავაზე მათთვის საინტერესო თემატიკაზე შექმნათ ლიტერატურული ნაწარმოები/ლექსი,ნოველა, მოთხრობა,ესე/. და სტიმულის მისაცემად წავუკითხე ჩემ მიერ დაწერილი თხზულება,მოეწონათ და ინტერესი გაუჩნდათ მონდომებით შეესრულებინათ დავალება.რამდენიმე მოსწავლემ თქვა, რომ არასდროს დაუწერია მსგავსი რამ, ე.წ. „ესემესის” გარდა და ვერასოდეს დაწერდა რაიმე ღირებულს. ვთხოვე ეცადა, ავუხსენი როგორ შეერჩიათ თემატიკა, გამოეყენებინათ მხატვრული გამომსახველობის საშუალებები.გავამხსენე . მათ

,მართლაც,საინტერესო ნაწარმოებები შექმნეს.სიამოვნებით უკითხავდნენ ერთმანეთს თავიანთ ნამუშევარს. მსგავსი სახალისო დავალება ერთჯერადი არ ყოფილა. გარკვეული მუშაობის შემდეგ გამოიკვეთა საინტერესო ლიტერატურული ნაწარმოებები. ლიცეუმის ხელმძღვანელობამ და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მხარი დაუჭირა ჩვენს ინიციატივას და წელს, უკვე კადეტთა მეორე კრებული დაიბეჭდა,სადაც წარმოდგენილ საუკეთესო ნაშრომთა შორის შეტანილია ჩემი კადეტების ლექსები. სასიამოვნო სიახლეა ის ,რომ ამჯერად კრებულის ილუსტრაციები თავად ავტორებმა ან მათმა თანაკლასელებმა შეასრულეს.

აღნიშნული აქტივობა ბიძგს აძლევს მოსწავლეთა წარმოსახვის უნარისა და ფანტაზიის განვითარებას, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენას, ხელს უწყობს წერითი მეტყველების განვითარებას.

„კადეტთა ლექსების კრებული“ შემოქმედებითი აქტივობა

1.აქტივობა: წარმოსახვითი დავალება

„კადეტთა ლექსების კრებული“ რომელიც დაასურათეს მოსწავლეებმა, ლექსის წაკითხვით მიღებული ემოციით შექმნილი კომპოზიციები ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. ამ პროექტით კადეტმა მოსწავლეებმა მიაღწიეს სახვითი ხელოვნების შემდეგ შედეგებს და ინდიკატორებს:

არჩ.ხ..X/XI/XII.1. მოსწავლეს შეუძლია ჩაატაროს ექსპერიმენტი ხელოვნების ელემენტების, პრინციპების, სხვადასხვა მასალის, ტექნიკისა და პროცედურის გამოყენებით ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ქმნის მრავალფეროვრიან, დეკორატიულ, რიტმულ კომპოზიციებს თავის მიერ არჩეულ თემებზე ასოციაციების, ემოციების გადმოსაცემად სხვადასხვაგვარი ეფექტების გამოყენებით;
- შუქ-ჩრდილის, ბლიკის და დაცემული ჩრდილის საშუალებით გამოსახავს საგანთა მოცულობას;
- აკეთებს ხელოვნების რომელიმე ცნობილი ნიმუშის ასლს და მიღებულ გამოცდილებას იყენებს ნამუშევრის შექმნისას;
- კოლორიტის საშუალებით გადმოსცემს განწყობილებას;
- იყენებს კონტრასტულ ფერებს ფერის ჟღერადობის გასაძლიერებლად, ემოციების გადმოსაცემად;

არჩ..ხ.X/XI/XII.3. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს შთაგონების სხვადასხვა წყარო იდეების გენერირებისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ირჩევს მისთვის საინტერესო მოვლენას და ასახავს ნამუშევარში;

- იღებს იდეებს სხვა საგნებში განვლილი მასალიდან და გამოსახავს მათ ნამუშევარში;
- იღებს იდეებს დიზაინის უახლესი ტენდენციებიდან და გამოსახავს მათი შემდგომი
- განვითარების მისეულ ხედვას (ესკიზების, სქემების, მაკეტების, მოდელების და ა.შ სახით); ირჩევს თემას საკუთარი ემოციებისა და შთაბეჭდილებების საფუძველზე და ასახავს ნამუშევარში;

არჩ.ბ..X/XI/XII.4. მოსწავლე მონაწილეობს პროექტებში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: თანაგუნდელებთან ერთად განსაზღვრავს პროექტის იდეას;

- გეგმავს პროექტის შესრულების ოპტიმალურ დროს და შემსრულებელთა რაოდენობას;
- ამოცანის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრავს სამუშაოს თანმიმდევრობას/ ფუნქციებს/ მოვალეობებს; გეგმავს, რა მატერიალური რესურსები დასჭირდება შესასრულებელ სამუშაოს და როგორ მოიძიებს ამ რესურსებს, გეგმავს და ახორციელებს იმ სამუშაოს, რომელიც თვითონ უნდა შეასრულოს.

არჩ.ბ..X/XI/XII.5. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს და გააანალიზოს ხელოვნების ნიმუში.

არჩ.ბ..X/XI/XII.6. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს საკუთარი და სხვისი ნამუშევარი აუდიტორიის წინაშე.

არჩ.ბ.პ.X/XI/XII.9. მოსწავლე იკვლევს და შეუძლია გააანალიზოს ხელოვნების როლი საკუთარ და საზოგადოების ცხოვრებაში.

ინტერვენციის შეფასება

ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციების შედეგების გაზომვის მიზნით შევარჩიე მეთოდი **დაკვირვება**. მოსწავლეებმა შეძლეს ნამუშევრების სხვადასხვა სტილისტურ მიმართულებაში შესრულება. „თავისუფალი სტილით შესრულებული ნახატები“ განსაკუთრებულ მჭიდრო კომპოზიციებს ქმნიან. ამ შემთხვევაში მოსწავლე ახალი სამყაროს შემქმნელად კი არ გვევლინება, არამედ უფრო მეტად იმ ადამიანად, ვინც ცხოვრებას გრძნობს და მას მგრძნობიარედ ალაგებს.

ხელოვნებაში წინა პლანზე უფრო და უფრო წინ გამოდის აბსტრაქტული მიმართულება. აბსტრაქციის ეს ზრდა და საბოლოო ჯამში გადაწონვა ძალზედ ბუნებრივია. რაც უფრო იზღუდება ორგანული ფორმა, მით უფრო წინ გამოდის აბსტრაქტული და იძენს ჟღერადობას. ამ მიმართულებით შექმნილი ლექსები უკვე ფერწერულ კომპოზიციებში გადმოცემს მათ გრძნობებს და ემოციებს, რეალისტურად გადმოცემული გამოსახულებები სურათზე ქმნიან ფრაგმენტულ განწყობას და სძენს პოეტურ დამაჯერებლობას სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს.

მოსწავლეებმა მიმართეს ექსპერიმენტებს, გამოიყენეს წინარე ცოდნა, ფერის ხაზის და ფორმის მრავალფეროვნებით შექმნეს სხვადასხვა სტილისტური ნამუშევრები.

მოსწავლეთა მიერ შეიქმნა კადეტთა ლექსების ილუსტრაციები.

აქტივობა : პლენერი ბუნებაში

ექსკურსიები ბუნებაში, ბუნებასთან კავშირით და ბუნების დაკვირვებით პიროვნება უფრო ცოცხალი და ხალისიანი ხდება. პლენერზე ნამუშევრების შექმნა ერთ-ერთი აქტივობაა იმისათვის, რომ ადამიანი დააკვირდეს და ჩაწვდეს ბუნების საოცრებებს და ხატვის პროცესში მაქსიმალურად შეიგრძნოს სიცოცხლის ზეიმი. არსად ისეთი თავისუფალი არ არის ადამიანი, როგორც ბუნებაში. ექსკურსიებზე შექმნილი ჩანახატები და ესკიზები აღწევს შემდეგ შედეგებს, ინდიკატორებს.

შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება

არჩ.ხ. პ.X/XI/XII.1. მოსწავლეს შეუძლია ჩაატაროს ექსპერიმენტი ხელოვნების ელემენტების, პრინციპების, სხვადასხვა მასალის, ტექნიკისა და პროცედურის გამოყენებით ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ქმნის მრავალფეროვან, დეკორატიულ, რიტმულ კომპოზიციებს თავის მიერ არჩეულ თემებზე ასოციაციების, ემოციების გადმოსაცემად სხვადასხვაგვარი ეფექტების გამოყენებით;
- შუქ-ჩრდილისა და დაცემული ჩრდილის საშუალებით გამოსახავს საგანთა მოცულობას;
- აკეთებს ხელოვნების რომელიმე ცნობილი ნიმუშის ასლს და მიღებულ გამოცდილებას იყენებს ნამუშევრის შექმნისას;
- კოლორიტის საშუალებით გადმოსცემს განწყობილებას;
- იყენებს კონტრასტულ ფერებს ფერის ჟღერადობის გასაძლიერებლად, ემოციების გადმოსაცემად;
- კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად ატარებს ექსპერიმენტს ფერებით (შეურევს სხვადასხვა მასალას-აკვარელს, გუაშს, პასტელს) შეარჩევს ფერთა გამას;
- ქმნის მასშტაბურ ნამუშევრებს;
- ფერწერული ნამუშევრის შექმნისას იყენებს ტრადიციულ და არატრადიციულ იარაღებს და ტექნიკას, მასალას;
- კომპოზიციური განაწილების სხვადასხვა ხერხს და პერსპექტივის კანონებს იყენებს კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად ნამუშევარში;
- პეიზაჟის, პორტრეტის და ნატურმორტის ხატვის დროს ყურადღებას ამახვილებს დეტალებზე და ამავე დროს ახერხებს სასურათე სიბრტყეზე ორგანული მთლიანობის შექმნას;

- ქმნის მხატვრულ სახეებს მიმიკის, ჟესტიკულაციის, სხვადასხვა დეტალის მეშვეობით, კონტრასტის, ფაქტურის, შუქ-ჩრდილის, სხვადასხვაგვარი მონასმის გამოყენებით;
- ნამუშევრის შექმნისას გააზრებულად სვამს მახვილს;
- ქმნის სტილიზებულ ნამუშევარს;
- აგროვებს ინფორმაციას თანამედროვე ხელოვნების უახლეს ფორმებზე (ტექნოლოგია, თეორიები, გამომსახველობით ხერხები, მასალა) ატარებს ექსპერიმენტს, შეიმუშავებს საკუთარ კონცეფციას და იყენებს თვითგამოხატვისათვის შერჩეულ სფეროში (მხატვრობა, დიზაინი, ფოტოგრაფია და ა. შ.) ნამუშევრის შესაქმნელად;

არჩ.ხ.პ.X/XI/XII.2. მოსწავლეს შეუძლია ასახოს ნამუშევარში გარემოზე დაკვირვების შედეგები, განავითაროს გამომსახველობითი ხერხები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხატავს ნატურიდან და მეხსიერებიდან ადამიანებს, ფრინველებს, ცხოველებს, ქალაქის ან სოფლის ლანდშაფტს;
- გამოსახავს დეტალებს პეიზაჟის, პორტრეტის და ნატურმორტის ხატვის დროს და ახერხებს კომპოზიციური მთლიანობის შექმნას;
- თავის მიერ შერჩეული თემის ირგვლივ მოიძიებს მასალას, აკვირდება დეტალებს გარემოში და მათი გამოყენებით ქმნის კომპოზიციურ მთლიანობას.

არჩ.ხ.პ.X/XI/XII.5. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს და გააანალიზოს ხელოვნების ნიმუში.

ინტერვენციის შეფასება:

ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციების შედეგების გაზომვის მიზნით შევარჩიე მეთოდი დაკვირვება მოსწავლეებმა შეძლეს ნამუშევრების სხვადასხვა სტილისტურ მიმართულებაში შესრულება. მოსწავლეების ჩართულობამ საინტერესო შედეგი გვიჩვენა, ნამუშევრის შექმნისას მოსწავლეები ცდილობენ მიაღწიონ ბუნებაში არსებულ ჰარმონიას, რომელიც შინაგანი აუცილებლობიდან მომდინარეობს და ამგვარად აღმოცენებული საერთო ცხოვრებით ერთ მთლიანობას ჰქმნიან, რომელსაც ჩვენ ნახატს ვუწოდებთ,

მაგალითად, თავისუფალი სტილით შესრულებულ ნახატებზე დაბურული მთების გამოსახვისას მოსწავლის თითის მოძრაობა იგრძნობა, სხვადასხვა ტექნიკას მიმართავს ბუნების შექმნისას ცოტა ნაივური დამოკიდებულებით, ჩვენთვის ეს მონდომება არის ნაცნობი და მრავალჯერ განმეორებადი, თავისუფალი იქამდეა, სანამდეც მოსწავლის გრძნობა წვდება. აქედან იმის დანახვაც შეიძლება, რამდენად უსასრულოდ დიდია ამ გრძნობის მოვლის აუცილებლობა.

პლენერზე შექმნილი კომპოზიციებით მოსწავლეები მიმართავენ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს, აკეთებენ ექსპერიმენტებს, იყენებენ წინარე ცოდნას ფერის ხაზის და ფორმის მრავალფეროვნებით.

ქართული ენა და ლიტერატურა

აქტივობა: ექსკურია, გასვლითი გაკვეთილი

ლიტერატურული ნამუშევრის (ლექსი, მოთხრობა, ნოველა, ესე) პრეზენტაცია ბუნებაში მოცემული აქტივობით მოსწავლეებმა მიაღწიეს შემდეგ შედეგებს და ინდიკატორებს.

ქართ. X. 3. აუდიტორიის წინაშე მოხსენებით გამოსვლისას მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის ეფექტიანობის გასაძლიერებელი ხერხების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამყარებს კონტაქტს მსმენელებთან (იყენებს რიტორიკულ შეკითხვებს, მიმართვას, ერთობლივი მოქმედების ამსახველ განმაზოგადებელ ფორმებს. მაგ., „ჩვენი მიზანია...“, „მივაქციოთ ყურადღება...“, „როგორც ვიცით...“ და სხვ.);
- უიოლებს აუდიტორიას ინფორმაციის აღქმას (სპეციალურად გამოყოფს ინფორმაციის ნაწილებს; იმეორებს; მოჰყავს მაგალითები)
- მიიპყრობს მსმენელის ყურადღებას (გამოყოფს მოხსენების საინტერესო ნაწილს, მთავარს, არსებითს).
- გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ინფორმაციის შინაარსისადმი

ქართ. X. 4. მოსწავლეს შეუძლია თანაკლასელთა ზეპირი მოხსენებების გაანალიზება და შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტური იყო მოხსენების შესავალი ნაწილი.
- განმარტავს, რამდენად ეფექტურად იყო წარმოდგენილი მოხსენების ძირითადი ნაწილი.

მსჯელობს იმის შესახებ, რამდენად ეფექტური იყო მოხსენების დასკვნითი ნაწილი

ინტერვეციის ანალიზი-შეფასება

გამოიკვეთა ,რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლის ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ექსკურსიებსა და გასვლით გაკვეთილებს. სასწავლო პროექტის “წინაპართა ნაკვალევზე”ფარგლებში მოსწავლეებმა დაათვალიერეს უბისას სამონასტრო კომპლექსი, წინასწარ მოიძიეს ყველა საჭირო ინფორმაცია და თავად გაუწიეს მეგზურობა იქ მოსულ ტურისტებს.აღნიშნული აქტივობა განვახორციელეთ გიორგი მერჩულეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის პარალელურად.ძველი ქართული მწერლობის ლიტერატურული თხზულებების შესწავლას ყოველთვის თან ახლავს გარკვეული სირთულე. ამ გზით შესწავლილი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები კი,მისი მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟებით ,უმნიშვნელო დეტალებითაც კი გაცილებით ეფექტურად დაამახსოვრდათ მოსწავლეებს.

აქტივობა

კონკურსები: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

რამდენადაც საინტერესო შეიძლება იყოს კონკურსები მოსწავლეებისთვის და კადეტებისთვის ,სანამ ბავშვს განუვითარდება შინაგანი მოტივაცია, ის მანამ დამოკიდებულია გარეგან მოტივაციაზე, მას მოსწონს ჯილდოს არსებობა, როგორც არ უნდა იყოს ის : დიპლომი, სიგელი, ფულადი ჯილდო და საჩუქრები .

რამდენად შეიძლება იყოს ეს პროცესი შემოქმედებითი, ეს დამოკიდებულია მოსწავლეზე თუ რამდენად დიდია მისი ინტერესი.

კონკურსს აქვს შეფასების კრიტერიუმები

შეფასების კრიტერიუმები:

- თემასთან შესაბამისობა;
- აზრის ორიგინალურად გადმოცემის უნარები

კონკურსებში მონაწილეობით მოსწავლეებმა მიაღწიეს შემდეგ შედეგებს და ინდიკატორებს:

არჩ.ხ.პ.XI/XII.3. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს შთაგონების სხვადასხვა წყარო იდეების გენერირებისათვის.შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იღებს იდეებს სხვა საგნებში განვლილი მასალიდან და გამოსახავს მათ ნამუშევარში;
- იღებს იდეებს დიზაინის უახლესი ტენდენციებიდან და გამოსახავს მათი შემდგომი განვითარების მისეულ ხედვას (ესკიზების, სქემების, მაკეტების, მოდელების და ა.შ სახით);
- ირჩევს თემას საკუთარი ემოციებისა და შთაბეჭდილებების საფუძველზე და ასახავს ნამუშევარში;

- ნამუშევარში გადმოსცემს ბუნების მოვლენებზე დაკვირვების შედეგებს;
- ასახავს მსოფლიოში მომხდარ უახლეს მნიშვნელოვან მოვლენას;
- ირჩევს თემებს იდეების და განწყობილებების გამოსახატავად;
- მომხდარი ფაქტის საფუძველზე (რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მსოფლიოში, პირად ცხოვრებაში...) ქმნის კონცეფციას და წარმოადგენს მის მიერ შერჩეული ფორმით (ფოტო, ვიდეო, ინსტალაცია, პერფორმანსი, ჰეფენინგი და ა.შ.).

შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება

არჩ.ხ.პ.X/XI/XII.1. მოსწავლეს შეუძლია ჩაატაროს ექსპერიმენტი ხელოვნების ელემენტების, პრინციპების, სხვადასხვა მასალის, ტექნიკისა და პროცედურის გამოყენებით ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ქმნის მრავალფიგურიან, დეკორატიულ, რიტმულ კომპოზიციებს თავის მიერ არჩეულ თემებზე ასოციაციების, ემოციების გადმოსაცემად სხვადასხვაგვარი ეფექტების გამოყენებით;
- შუქ-ჩრდილის, ბლიკის და დაცემული ჩრდილის საშუალებით გამოსახავს საგანთა მოცულობას;
- აკეთებს ხელოვნების რომელიმე ცნობილი ნიმუშის ასლს და მიღებულ გამოცდილებას იყენებს ნამუშევრის შექმნისას;
- კოლორიტის საშუალებით გადმოსცემს განწყობილებას;
- იყენებს კონტრასტულ ფერებს ფერის ჟღერადობის გასაძლიერებლად, ემოციების გადმოსაცემად;
- კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად ატარებს ექსპერიმენტს ფერებით (შეურევს სხვადასხვა მასალას-აკვარელს, გუაშს, პასტელს) შეარჩევს ფერთა გამას;
- ქმნის მასშტაბურ ნამუშევრებს;
- ფერწერული ნამუშევრის შექმნისას იყენებს ტრადიციულ და არატრადიციულ იარაღებს და ტექნიკას, მასალას;
- კომპოზიციური განაწილების სხვადასხვა ხერხს და პერსპექტივის კანონებს იყენებს კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად ნამუშევარში;
- პეიზაჟის, პორტრეტის და ნატურმორტის ხატვის დროს ყურადღებას ამახვილებს დეტალებზე და ამავე დროს ახერხებს სასურათე სიბრტყეზე ორგანული მთლიანობის შექმნას;
- ქმნის მხატვრულ სახეებს მიმიკის, ჟესტიკულაციის, სხვადასხვა დეტალის მეშვეობით, კონტრასტის, ფაქტურის, შუქ-ჩრდილის, სხვადასხვაგვარი მონასმის გამოყენებით;
- ნამუშევრის შექმნისას გააზრებულად სვამს მახვილს;
- ქმნის სტილიზებულ ნამუშევარს;
- აგროვებს ინფორმაციას მისთვის საინტერესო ქვეყნის იკონოგრაფიულ სიმბოლოებზე და იყენებს ნამუშევარში იდეის გამოსახატავად;

- გარკვეული იდეის გამოსახატავად ატარებს ექსპერიმენტს თანამედროვე ტექნოლოგიების (ინსტალაცია, ვიდეოარტი, ფოტოგრაფია) და მასალის (ლითონი, ქაღალდის ნაკეთობა, ქსოვილი, პლასტიკატი და სხვ.) გამოყენებით; ქმნის გაზეთის, ჟურნალის მაკეტს, რისთვისაც იყენებს ბეჭდვითი ტექნოლოგიების თანამედროვე მიდგომებსა და ტექნიკას.

ინტერვენციის შეფასება:

ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციების შედეგების გაზომვის მიზნით შევარჩიე მეთოდი **დაკვირვება** მოსწავლეებმა შეძლეს კონკურსზე შესრულებული ნამუშევრების სხვადასხვა სტილისტურ მიმართულებაში შესრულება. მოსწავლეების ჩართულობამ საინტერესო შედეგი გვიჩვენა, ნამუშევრის შექმნისას მოსწავლეები კონკურსზე ირჩევენ მათთვის ეფექტურ მიმართულებას, თავიანთი სათქმელის უკეთ გადმოცემისას ცდილობენ მიაღწიონ ნამუშევრის მთლიანობას და ერთიანობას.

კონკურსები პირველ ეტაპზე გარეგანი მოტივაციით გამოირჩევა, თუმცა ის შეიძლება შინაგან მოტივაციად გადაიქცეს. ხდება პირიქითაც „კონკურსანტი“ კარგავს მოტივაციას თუ სათანადო თემა არ შეხვდა ანდა იმ შემთხვევაში, თუკი ის წინასწარ ჩამოყალიბებული პესიმიზმით ხვდება დავალებას. ამ დროს მოსწავლეს ჭირდება ფსიქოლოგიური დახმარება თვითშეფასების ამაღლებისთვის.

ნამუშევრის შექმნისას მოსწავლეები მიმართავენ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს, აკეთებენ ექსპერიმენტებს, იყენებენ წინარე ცოდნას ფერის ხაზის და ფორმის მრავალფეროვნებით, ქმნიან კოპოზიციებს.

ქართული ენა და ლიტერატურა

აქტივობა :კონკურსები, სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები

მოსწავლეთა აქტიურმა ჩართულობამ საქალაქო კონკურსებსა თუ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, საინტერესო შედეგები გვიჩვენა, დიდი იყო წარმატების მოპოვებით გამოწვეული სიხარული, რაც თვითშეფასების ამაღლებას, შემოქმედებითი პოტენციალის ზრდას უწყობს ხელს და უფრო მოტივირებულს ხდის კადეტს. /დიპლომები, სიგელები იხ. დანართის სახით/

ლიტერატურულ, შემოქმედებით კონკურსებზე მოსწავლეებმა მიაღწიეს შემდეგ შედეგებს და ინდიკატორებს.

ქართ. X. 8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური თხზულებების წაკითხვა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

. საუბრობს იმის შესახებ, თუ რაზე დააფიქრა მხატვრულმა თუ პუბლიცისტურმა თხზულებამ;

. აკრიტიკებს ან იზიარებს ნაწარმოების პერსონაჟის ან ავტორის შეხედულებებს

. მსჯელობს პრობლემაზე, რომელიც დაინახა თხზულებაში;

ქართ. X. 9. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების გაანალიზება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

. განსაზღვრავს ნაწარმოების ცენტრალურ იდეას / პრობლემატიკას;

. აჯგუფებს პერსონაჟებს კონფლიქტთან მიმართებით;

. თხრობითი ხასიათის ნაწარმოებებში გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს

. საუბრობს ნაწარმოებში პეიზაჟის, ინტერიერის ფუნქციაზე;

. მსჯელობს ავტორის მეტყველების თავისებურებაზე, მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებსა(ალუზია, ალეგორია, გაპიროვნება, ეპითეტი, მეტაფორა, შედარება და სხვ.) და მათს ფუნქციაზე ნაწარმოებში;

. განსაზღვრავს ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის პოზიციას ან ხედვის კუთხეს, რაც განაპირობებს ნაწარმოებში წარმოდგენილი ამბის / კონფლიქტის / პრობლემის ინტერპრეტაციას;

. შეაფასებს ლირიკულ ნაწარმოებს სუბიექტურ აღქმასა და/ან მხატვრული ფასეულობების გააზრებაზე დაყრდნობით;

.აკავშირებს მხატვრულ ნაწარმოებს ისტორიულ კონტექსტთან და თანამედროვეობასთან (მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ აისახა ისტორიული ვითარება, ეპოქის კულტურული და ლიტერატურული ტრადიციები ამა თუ იმ ნაწარმოებში).

ქართ. X. 13. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო რეფერატის დაწერა ერთი ან რამდენიმე წყაროს მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

□ ირჩევს თემას;

□ მოიძიებს და დაამუშავებს წყაროებს;

□ ადგენს რეფერატის გეგმას;

□ წერს რეფერატს შესაბამისი სტანდარტის დაცვით (ზუსტად პასუხობს თემას, მიზნობრივად იყენებს წყაროებს, აფორმებს შესაბამისად).

ინტერვენციის ანალიზი

-მოსწავლეთა მონაწილეობა საქალაქო ლიტერატურულ შემოქმედებით კონკურსებში
/ორგანიზატორი -ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე/

-მოსწავლეთა 73-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენცია
/ორგანიზატორი -საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე/

-მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენ ვსწავლობთ კოსმოსს“
/ორგანიზატორი აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი/

-კალიგრაფიის საქალაქო კონკურსი
/ორგანიზატორი -ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე/

სამეცნიერო კონფერენცია-„პოეზიის მეფე-გალაკტიონი“
/ორგანიზატორი -ქუთაისის კულტურულ,სახელოვნებო,საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება/

- ჩემი აზრით, ჩართულობა უპირველესია მოსწავლეებთან მუშაობისას.მე-10 კლასის თითქმის ყველა მოსწავლე ჩართული იყო ზემოთ ჩამოთვლილ აქტივობებში, რა თქმა უნდა ,თითოეული თავისი ინტერესების და სურვილის შესაბამისად. საკონფერენციო საკითხებიც თავად აირჩიეს , მუშაობის პროცესში ვამლევი მითითებებს. ერთად ვმსჯელობდით განსახილველ, სადავო საკითხებზე, საბოლოო გადწყვეტილებას თავად იღებდნენ, დასკვნასაც თავად აკეთებდნენ. ისინი მუშაობდნენ ხალისით,თითოეული - მისთვის საინტერესო თემატიკის ირგვლივ. აქტივობებში ჩართულობამ, ერთობლივად განხორციელებულმა კვლევებმა , შემდეგ კი მოპოვებული წარმატების შედეგად მიღებულმა დიპლომებმა და სიგელებმა მოსწავლეებს აუმაღლა თვითშეფასება, დამაჯერებლობა შესძინა მათ მოსაზრებებს. მოსწავლეებს ჩამოუყალიბდათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, სხვისი აზრის ანგარიშის გაწევისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის უნარი.

აქტივობა - ლიტერატურული თეატრი

საინტერესო და ეფექტური აღმოჩნდა ჩემ მიერ შექმნილი ლიტერატურული თეატრის საქმიანობა. მოსწავლეებმა იმუშავეს გამომეტყველებითი ,მხატვრული კითხვის უნარ -ჩვევებზე. მოამზადეს ლიტერატურული სპექტაკლი „გვიყვარდეს საქართველო სიცოცხლეზე მეტად“,რომელიც წარმოადგინეს ქუთაისის მადლიერების სახლში.

წარმატებული გამოსვლის შემდეგ ჩვენმა მასპინძლებმა -მადლიერების სახლის მოხუცებმა შემოგვთავაზეს თანამშროლობა .მოსწავლეებმა სიამოვნებით იმუშავეს და წარმოვადგინეთ ლიტერატურული პერფორმანსი „ნუ მივატოვებთ ერთმანეთს“ . ეს იყო თაობათა უწყვეტი ჯაჭვის კიდევ ერთი დიდი წარმატება.

უნდა აღინიშნოს ,რომ ზემოთაღნიშნულ აქტივობაში ყველა მოსწავლე იღებდა მონაწილეობას, ყველას თანაბრად მიეცა თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის შანსი,რაც დიდი სტიმული და გამოწვევა იყო,რადგან უმრავლესობა პირველად იდგა სცენაზე.

მოპოვებულ აღიარებასა და მიღებულ გამოცდილებას ჩემი მოსწავლეებისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია. გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმმა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე დადგა ენტონი ბერჯენსის პიესა „მექანიკური ფორთოხალი“(რეჟისორი თ.მარჯანიშვილი),სადაც ჩემმა მოსწავლეებმა საინტერესო და დაუვიწყარი დრამატული სახეები შექმნეს.

აღსანიშნავია,რომ მოპოვებულმა წარმატებებმა მოსწავლეებს აუმაღლა სწავლის მოტივაციაც, აკადემიური მოსწრების დონე გაცილებით გაიზარდა,რაც მეტად სახარბიელო ფაქტია.

კვლევის ვადები : 2018 -2019 სასწავლო წელი, ოქტომბერი – ივნისი

მეთოდოლოგია:

თვისობრივი მეთოდი

კვლევის თვისობრივი მეთოდებიდან გამოვიყენეთ ე. წ. ფოკუს ჯგუფის ტექნიკა, რომელიც გულისხმობს წინასწარ შემუშავებული საკითხების ჯგუფურ განხილვას და დისკუსიებს სამიზნე ჯგუფთან ერთად. კვლევის დამხმარე ინსტრუმენტად გამოყენებულია სადისკუსიო გეგმა, რომელიც შემუშავდა და შეირჩა ქართული ენის ,ლიტერატურისა და ესთეტიკური კათედრის სხდომაზე.

ფოკუს ჯგუფის რაოდენობა, მონაწილეები – 7(ქართული ენის ,ლიტერატურისა და ესთეტიკური კათედრის წევრები)

ფოკუს ჯგუფის ხანგრძლივობა – 1 საათი.

ფოკუს ჯგუფის შედეგების პრეზენტაცია მოეწყო ქართული ენის, ლიტერატურისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე

რაოდენობრივი მეთოდი

გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის (დახურული, ანონიმური)საშუალებით.(იხ. დანართი).

თარიღი- 2019 წლის 14 მაისი
კვლევის მეთოდი -რაოდენობრივი კვლევა
კვლევის ტექნიკა-ინტერვიუს მეთოდი
გამოკითხულთა რაოდენობა –20 რესპონდენტი (სამიზნე ჯგუფი)
კითხვარის შევსების ხანგრძლივობა – 45 წუთი

კვლევის მეთოდები

თვისობრივი მეთოდი

1.დაკვირვება

სამიზნე ჯგუფი:მოსწავლეები

მიზანი:პრობლემის კონკრეტული დადგენა და გამოვლენა.

დაკვირვების სფეროები:ქართულის გკვეთილზე გამოიკვეთა გამომეტყველებითი კითხვის უნარების არქონა, ემოციური ეფექტის მოხდენის დეფიციტი, თანაგანცდის უნარის გამოვლენა.უდიტორიასთან კომუნიკაციის ნაკლებობა და სიმორცხე.

დაკვირვების სფეროები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში: გაკვეთილზე გამოიკვეთა

ნატურიდან ხატვის უნარების არქონა, შემუშავებული სქემებით მოქმედება, რაც მოკლებული იყო სახვითი ხელოვნების ნამუშევრის ცოცხალ მხატვრულ ეფექტს

2.ინტერვიუ

სამიზნე ჯგუფი-მასწავლებლები

მიზანი: მასწავლებლებში დაგვედგინა ინტერესის სფერო მოსწავლეებს როგორ ჩამოუყლიბდებოდათ შემოქმედებითობა, როგორ ესმით შემოქმედებითი თავისუფლება, როგორ აღმოვაჩინოთ აქამდე უცნობი ნიჭი და ტალანტი.

მონაწილეობა მიიღო 20 მასწავლებელმა

რაოდენობრივი მეთოდები

ზეპირი გამოკითხვა-ინტერვიუ

სამიზნე ჯგუფი:მოსწავლეები

მიზანი: დავადგინოთ მოსწვლეთ ინტერესის სფეროები;გავარკვიოთ მათი მიმართულებები,

3. კითხვარი: დანართი

1. იღებდით თუ არა გამოფენებში მონაწილეობას?
2. რატომ წერ ლექსს?
3. რატომ ხატავ?
4. ხატვა რა ემოციას იწვევს?
5. რომელი მიმართულება არის შენთვის საინტერესო და რატომ?
6. XXI საუკუნეში რამდენად მნიშვნელოვანია შემოქმედებათობა?

მონაცემთა ანალიზი:

ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციების შედეგების გაზომვის მიზნით შევარჩიე მეთოდი- დაკვირვება . მოსწავლეებმა შეძლეს ესაუბრათ საკუთარ ემოციებზე: როგორ გრძნობს თავს ხატვის დროს? რომელ მიმართულებას ირჩევს სახვით ხელოვნებასა და ლიტერატურაში? რატომ წერს ლექსს? რა აწერინებს პოეტურ სტრიქონებს? იღებდა თუ არა მონაწილეობას შემოქმედებით ღონისძიებებში, კონკურსებსა და ლიტერატურულ სპექტაკლებში? როგორ შეცვალა მისი პიროვნება მოპოვებულმა წარმატებებმა. ასევე გავამახვილეთ ყურადღება XXI საუკუნის მოთხოვნებზე და ძირითად ტენდენციებზე.


ჩვენ მიერ ჩატარებულმა დაკვირვებამ გამოავლინა, რომ მოსწავლეებს სუსტად ჰქონდათ განვითარებული შემოქმედებითი და სააზროვნო უნარები. ამ დაკვირვებებმა ცხადყო პრობლემის სირთულე . მონაცემთა შეგროვება სხვადასვა კუთხით წავრვამათეთ. რეალური სურათი არც ისე სასიამოვნო აღმოჩნდა, თუმცა იყო გამონაკლისებიც.

პრობლემის ინდეტიფიცირებამ საშუალება მოგვცა დაგვესახა მომავალი სამუშაო გეგმა.

დაკვირვების შედეგად მივიღეთ სურათი, რომელიც წარმოვადგინეთ დიაგრამის სახით

დიაგრამა #1

შემოქმედებითი უნარების განსაზღვრა



რეკომენდაციები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

თეა სულაბერიძე

1. ხელი შევუწყოთ მოსწავლეებს შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისათვის: დისკუსია, როლური თამაშები, ლიტერატურული თეატრი, გამოფენა, პლენერი, შემოქმედებითი კონკურსები, კონფერენციები და ა. შ.
2. აქტიურად გამოვიყენოთ კოგნიტური სქემები სასწავლო პროცესში, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებას.
3. შევთავაზოთ მოსწავლეებს მუსიკის მოსმენის შედეგად მიღებული ემოციით ლიტერატურული ფერწერული ნამუშევრის შექმნა
4. მივცეთ შესაძლებლობა მოსწავლეებს მათთვის საყვარელი მუსიკის ფონზე შექმნან მხატვრული კომპოზიცია
5. შექმნან თანატოლების ლექსების ილუსტრაციები
6. შექმნათ კომპოზიციები საციალური მოვლენების ზემოქმედების ან ამ მოვლენების გაპროტესტების ფონზე
7. შევქმნათ განწყობის სურათები გოეთეს ფერთა თეორიის მიხედვით

რეკომენდაციები

ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებელი ია დანელია

ჩატარებული კვლევების მიზანია დაეხმაროს მასწავლებელსა და მოსწავლეს, რათა უფრო საინტერესო გახდეს სწავლა-სწავლების პროცესი, შეუქმნას მოსწავლეებს სათანადო შემოქმედებითი ატმოსფერო. როგორც ლილიან კაცი აღნიშნავს, განწყობა “გონების ჩვევას” წარმოადგენს (L. Katz, 2000), ანუ სხვადასხვა სიტუაციაში რეაგირების გარკვეულ ხასიათს თუ ფორმას, მაგალითად, როგორცაა: საქმის ბოლომდე მიყვანა, გულმოდგინება, ძალისხმევის გამოჩენა, ცნობისმოყვარეობა, პრობლემის გადაჭრისაკენ სწრაფვა, სწავლის სურვილი, თანამშრომლობის, ურთიერთობის სურვილი, ძალისხმევის გამოჩენა, სირთულის გადალახვა. განწყობები არ “ისწავლება” პირდაპირი გაგებით. სასურველი განწყობების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ყოველდღიურ საქმიანობაში შესაბამისი პირობების შექმნა. კვლევებმა გვიჩვენა, რომ შედეგების მისაღწევად აუცილებელია:

1. ხელი შევუწყოთ მოსწავლეებს შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისათვის: დისკუსია, როლური თამაშები, ლიტერატურული თეატრი, შემოქმედებითი კონკურსები, კონფერენციები, გამოფენები, პლენერები და ა. შ.

2. აქტიურად გამოვიყენოთ კოგნიტური სქემები სასწავლო პროცესში, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებას

3. ხშირად წავახალისოთ მოსწავლეები. მასწავლებელმა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები /ეროვნული სასწავლო გეგმა იძლევა ამის საშუალებას/

4. საგაკვეთილო პროცესი იყოს ინოვაციური

5. გავააქტიუროთ კლასგარეშე მუშაობა

6. მოსწავლეების მიმართ მზრუნველობის, სიტბოსა და სიყვარულის ხაზგასმით გამოხატვა

7. ჩვენ მიერ შექმნილი სასიამოვნო სასწავლო გარემო საუკეთესო გზაა მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენისა და განვითარებისათვის.

8. შევუქმნათ მოსწავლეს ისეთი გარემო, რომ მან იგრძნოს: მის აზრს ანგარიშს უწევენ, აფასებენ, ითვალისწინებენ.

9. გავამხნევოთ მოსწავლე. ის გამუდმებით უნდა გრძნობდეს ჩვენს მხარდაჭერას.

დასკვნა

თეა სულაბერიძე- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი

2018-2019 სასწავლო წელს საკვლევ თემად შევარჩიეთ -შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება(საშუალო საფეხურზე)-Xკლასში

საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაზე ხანგრძლივი დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ ბავშვებს აქვთ დაბალი თვითშეფასება , ურავლესობა ვერ ახერხებს მაღალ სააზროვნო უნარებზე გასვლას, არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება დისკუსიებში. მიღებული შთაბეჭდილების ზეპირსიტყვიერად გადმოცემა , ფიქრობს, რომ ის ვერ ხატავს, ჩამოყალიბებული სტიგმაა აქვს საკუთარი თავის მიმართ ,აქვს არასულფასოვნების კომპლექსი.

მოსწავლეთა უმრავლესობას ჩამოყალიბებული აქვს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპი შეფასების თვალსაზრისით, რომელსაც მასკულტურას მივაკუთვნებთ . მას მრავალი მიმართულება აქვს ხელოვნების სხვადასხვა დარგში . წმინდა შემოქმედება არის ინდივიდუალიზმის განვითარება ხელოვნების სხვადასხვა დარგში .

ხდება ხოლმე, რომ ის არღვევს ყოველგვარ სტიგმას ,თავისუფლდება და სასწაულებს ჩადის. ამ დროს ის ერთვება შემოქმედებით აქტივობებში.

ჩვენმა კვლევამ ცხადყო,თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მრავალფეროვან სტრატეგიებს ,კლასგარეშე აქტივობებს. მოსწავლეთა და პედაგოგთა გამოკითხვის მიხედვით კიდევ ერთხელ გავაცნობიერეთ, თუ რა ახალი გამოწვევების წინაშე ვდგავართ. ჩვენ ვალდებული ვართ მომავალი თაობა აღვჭურვოთ შემოქმედებითი უნარებით,რათა მათ შეძლონ საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

უნდა გავამახვილოთ ყურადღება შემდეგ უნარებზე:

- 1.ახლებური გადაწყვეტა, ინიციატივა და დამოუკიდებელი მუშაობა
2. შექება -წახალისება საუკეთესო საშუალებაა, მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად
- 3.მოქნილობა და ადაპტაცია

ჩვენ ვალდებული ვართ მოსწავლეებს შევუქმნათ სათანადო სასიამოვნო გარემო,დავარწმუნოთ თითოეული მათგანი იმაში ,რომ შეუძლია იყოს წარმატებული,თუკი ამას მოინდომებს და ძალისხმევას გამოიჩინს . კვლავაც გავაგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით. ვფიქრობთ, საფუძველი კარგი გვაქვს და სასურველი შედეგებიც არ დააყოვნებს.

დასკვნა

ია დანელია- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

2018-2019 სასწავლო წელს საკვლევ თემად შევარჩიეთ „მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში“ საშუალო საფეხურზე / X კლასში/

ჩვენმა კვლევამ ცხადყო, რომ სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად აუცილებელია მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარება. მასწავლებელი გამუდმებით უნდა ცდილობდეს, რომ ბავშვებს შეუქმნას სასიამოვნო გარემო, რათა მათ შეძლონ საკუთარი ნიჭის, უნარის, შესაძლებლობების სრულად წარმოჩენა. ამ მიზნით, აუცილებელია გამოვიყენოთ მრავალფეროვანი სტრატეგიები, კლასგარეშე აქტივობები.

შემოქმედებითი კუთხით მოსწავლეებთან მუშაობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ აუცილებელია მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი კრეატიული იდეების წარმოშობას, ამასთანავე შევუქმნათ მოსწავლეს ისეთი გარემო, რომ მან იგრძნოს: მის აზრს პატივს სცემენ და ანგარიშს უწევენ.

კვლევამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ შექება -წახალისება საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად, შემოქმედებითი პოტენციალის გამოსავლენად; გავამხნევოთ მოსწავლე; ის გამუდმებით უნდა გრძნობდეს ჩვენს მხარდაჭერას; ყოველთვის დავაჯილდოვოთ ისინი კრეატიული იდეებისათვის.

წავახალისოთ მოსწავლის მიერ პრობლემის ახლებური გადაწყვეტის ინიციატივა და დამოუკიდებელი მუშაობა, წავახალისოთ გონივრული რისკი. ყოველგვარ სიტუაციაში ვეძებოთ სტიმულის გამომწვევი გარემო. აუცილებელია, შემწყნარებელი ვიყოთ მოსწავლეთა შეცდომების მიმართ, აქცენტი გავაკეთოთ მხოლოდ მათ გაანალიზებაზე.

ჩვენ, კვლევის ავტორებმა, სიამოვნებით გავაცანით კოლეგებს ჩვენი ნაშრომი, მათ გულისყურით მოისმინეს და გამოთქვეს თანამშრომლობის სურვილი, მათმა საინტერესო მოსაზრებებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ პედაგოგების ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება აუცილებელია, რადგან ეს გვეხმარება პროფესიულწინსვლაში.

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

ხელოვნების პედაგოგი თეა სულაბერიძე

2018-2019 სასწავლო წელს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ჩავატარე სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში — როგორ გავაუმჯობესოთ შემოქმედებითი უნარჩვევები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

კვლევის მიზანი იყო საშუალო საფეხურზე, მეათე კლასის მოსწავლეთა (პირველ კურსელების) შემოქმედებითი უნარ - ჩვევების გაუმჯობესება. მოსწავლეებში ხელოვნების უკეთ შესწავლის სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლეთა შემოქმედებითი ხარისხის გასაზრდელად და პრეზენტაციის უნარის გასავითარებლად. მიღებული შედეგი დადებითია და ვთვლი, რომ შეიძლება მისი კოლეგებთან გაზიარება.

კვლევა განხორციელდა 2018-2019 სასწავლო წელს, გრძელდებოდა დაახლოებით 7 თვის მანძილზე (ოქტომბერი-ივნისი). მოსწავლეთა გამოკითხვა ანკეტირება ვაწარმოე ანონიმურად შესაბამისი კითხვებით. მოსწავლეებისთვის საინტერესო იყო განსხვავებულ აქტივობებში მონაწილეობა, ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილები, ექსპერიმენტები ფერწერული მასალის ნამუშევრებში, პროექტებზე მუშაობა, კონკურსებში მონაწილეობა სხვადასხვა შემოქმედ მოსწავლეებთან მეგობრობა, ექსკურსიებზე პლენერებზე მუშაობა კადეტთა ლექსების ილუსტრირება თითოეული აქტივობა მიმდინარეობდა მყუდრო გარემოში , სადაც თითოეული მოსწავლე კადეტი შემოქმედებითი თავისუფლებით სარგებლობდა.

სასწავლო წლის განმავლობაში მოვაწყვეთ ორი გამოფენა, რომელიც ხასიათდებოდა შემოქმედებითი თავისუფლებით ,სადაც გამოფენილი იყო თითოეული მხატვარი კადეტის ინდივიდუალური სამყარო თითოეული მოსწავლის შინაგანი და გარეგანი აუცილებლობით. ვთვლი, რომ ამ ფორმით მათი გამოფენა ერთ-ერთი დიდი წარმატებაა კადეტთა ლიცეუმის სივრცეში

კადეტთა ლექსების დასურათებაც ამ ფორმით მოხდა . ამიტომაც აღმოჩნდა ის ძალზე საინტერესო და მრავალფეროვანი, ეს სტრატეგია ყოველთვის გამომადგება მოსწავლეებთან მუშაობის დროს და სხვა ჩემს კოლეგებსაც ვურჩევ.

შემიძლია ვთქვა, რომ აქტივობა: კონკურსები, შემოქმედებით განვითარებაში გარკვეულ ჩარჩოშია მოქცეული ალბათ იმიტომ, რომ ორიენტირებული არის უფრო გარეგან მოტივაციაზე და კონკრეტულ შეფასების კრიტერიუმებთან .რომელიც გარკვეულ ჩარჩოში გვაქცევს და დამარცხების შემთხვევაში შეიძლება მოსწავლემ დაკარგოს გარეგანიც და შინაგი მოტივაციაც.

ჩვენ შემოქმედებითი განვითარებისთვის ვირჩევთ თავისუფალი სტილის მეთოდს. ის შეიძლება რეალიზმში გამოისახოს, შეიძლება აბსტრაქციონიზმში .

კვლევის შედეგების გაზიარება საინტერესო აღმოჩნდა კოლეგებისთვის. დაინტერესდნენ შედეგებით და გაუჩნდათ სურვილი საკუთარი პრაქტიკის კვლევა განახორციელონ. თემის არჩევა მათი პრაქტიკის საჭიროებიდან გამომდინარე მოხდება.

უკუკავშირი, იყო როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. კოლეგების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ შემოქმედებით უნარი თანდაყოლილია, თვითონ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს თანდაყოლილი უნარი შემოქმედების და ამასთანავე ,დიდი ინტერესი .

რეფლექსია

ქართული ენა და ლიტერატურა

პედაგოგი ია დანელია

2018-2019 სასწავლო წელს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ჩავატარე სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში — როგორ გავაუმჯობესოთ შემოქმედებითი უნარ-ჩვევები ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე.

კვლევის მიზანი იყო საშუალო საფეხურზე, მეათე კლასის მოსწავლეებში (პირველ კურსელებში) შემოქმედებითი უნარ -ჩვევების განვითარება-გაუმჯობესება. სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო და მიმზიდველი რომ გახდეს , განვახორციელებთ მრავალფეროვანი სტრატეგიები მოსწავლეთა შემოქმედებითობის გასაზრდელად, პრეზენტაციის უნარების გასავითარებლად. მიღებული შედეგი დადებითია და მიმაჩნია, რომ შეიძლება მისი კოლეგებთან გაზიარება.

კვლევა განხორციელდა 2018-2019 სასწავლო წელს, გრძელდებოდა დაახლოებით 7 თვის მანძილზე (ოქტომბერი-ივნისი). მოსწავლეთა გამოკითხვა- ანკეტირება ვაწარმოე ანონიმურად შესაბამისი კითხვებით. მოსწავლეებისთვის საინტერესო იყო განსხვავებულ აქტივობებში მონაწილეობა, ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილები, ლიტერატურული თეატრის შექმნა, სადაც მოსწავლეებს უვითარდებათ ფანტაზიის უნარი, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაციის და პრობლემის გადაჭრის გზების ძიების უნარი. მოსწავლეებს მოსწონთ როლური თამაშები და ხალისით ერთვებიან. ამ დროს დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეების გააქტიურება ხდება. ხდება მათი ინტერესის განხორციელება და უკუკავშირიც მყისიერად მიეწოდებათ.

დაისახა გეგმები, რომ მომავალშიც გაგრძელდეს მსგავსი აქტივობების ჩატარება. მომავალ წელს გადავწყვიტეთ გავაკეთოთ სკეტჩები(როლური თამაშები) ,დავდგათ მინისპექტაკლი.

საინტერესო და ეფექტური იყო მოსწავლეთათვის პროექტებზე მუშაობა, კონკურსებსა და კონფერენციებში მონაწილეობა , ერთობლივი ღონისძიებებში ჩართვა მაღლიერების სახლის მოხუცებთან პროექტით “თაობათა უწყვეტი ჯაჭვი”, შეხვედრა მწერლებთან,შემოქმედ

ადამიანებთან. საკუთარი ლექსების გაცნობა საზოგადოებისათვის. საინტერესო ექსკურსიები და გასვლითი გაკვეთილები. თითოეული აქტივობა მიმდინარეობდა მყუდრო გარემოში, სადაც ყოველი მოსწავლე კადეტი შემოქმედებითი თავისუფლებით სარგებლობდა.

კადეტთა ლექსების კრებულის გამოცემა, სადაც ილუსტრაციები თავად მოსწავლეებს ეკუთვნით, მეტად საინტერესო და სასიამოვნო აღმოჩნდა, ეს სტრატეგია ყოველთვის გამოამდგება მოსწავლეებთან მუშაობის დროს და ჩემს კოლეგებსაც ვურჩევ.

კვლევის შედეგები გავაცანი ჩემს კოლეგებს. პედაგოგებმა ხაზი გაუსვეს საკვლევი საკითხის მნიშვნელობასა და აქტუალურობას.

ჩატარე კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა, პედაგოგებმა მიიჩნიეს, რომ საკვლევი საკითხი აქტუალურია, ძალზე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარება სწავლა-სწავლების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

მნიშვნელოვანია საგნობრივი კათედრის როლი პედაგოგთა დახელოვნებაში, მასწავლებლები ერთმანეთის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგების გაზიარებით იმაღლებენ პროფესიონალიზმის ხარისხს. უკუკავშირისას ჩემმა კოლეგებმა ერთხელ კიდევ აღნიშნეს კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამუშაო შეხვედრების ეფექტურობა/ნაყოფიერება და იმედი გამოთქვეს, რომ მსგავსი ინიციატივები მოსწავლეებში მნიშვნელოვნად აამაღლებს შემოქმედებით უნარებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თომას მანი „ხელოვანი და საზოგადოება“, 2012 წ.
2. ვასილ კანდისკი „სულიერების შესახებ ხელოვნებაში“, 2013 წ.
3. გოეთეს ფერთა თეორია - X კლასის სახელმძღვანელო
4. დევიდ ქლუსტერის წერილი „რა არის კრიტიკული აზროვნება?“
5. სწავლება და შეფასება - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008 წ.
6. განვითარებისა და სწავლების თეორიები - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008 წ.
7. სასწავლო და პროფესიული გარემო - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008 წ.
8. როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე და სასწავლო პროექტებზე (www.tpdg.ge)
9. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა საგაკვეთილო პროცესში (maswavlebeli.ge)
10. დიმიტრი უზნაძის - განწყობის თეორია, 2010 წ.
11. 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები (www.tpdg.ge)

12. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ გზამკვლევი, 2016წ.

13. პაატა პაპავას სახელმძღვანელო „წიგნიერება“, 2012 წ.

14. ლორთქიფანიძე, დ. (1953). იაკობ გოგებაშვილი; წყარო: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები, სახალხო მასწავლებლები, კრებული I, თბილისი

15. სწავლების ზოგადპედაგოგიური და დიდაქტიკური პრინციპები.

რედაქტორი ჯ. ბერიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემცემლობა, 2001 წ.

დანართი.1.

ინტერვიუ მასწავლებელთან

1. თქვენი აზრით, რომელი აქტივობები ავითარებს შემოქმედებით უნარებს?

1. ექსკურსიები
2. კონკურსები
3. წარმოსახვითი დავალებები

2. თქვენი აზრით, შეიძლება ადამიანი გახდეს შემოქმედებითი ნატურა? (განმარტეთ როგორ შეიძლება გახდეს შემოქმედებითი ნატურა)

3. თქვენი აზრით, XXI საუკუნე აფასებს თუ არა შემოქმედებით ადამიანებს?

1. კი
2. არა
3. მეტ- ნაკლებად
4. დაკვირვება